

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ဒ်သံဝိဇ္ဇာဝိဇ္ဇာ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

$\frac{1}{m} - \frac{1}{n}$

ახაბერ კირტავა

15.04. 2013 წელი

2 ეგვ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აუდიტის ანგარიში N 3/105

2012 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ზ ე ვ ი

აუდიტის ანგარიში.....	4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	5
პირობითი მოსაზრება.....	9
სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები.....	10
ფინანსურ ანგარიშგებაში გამოვლენილი არსებითი სისუსტეები.....	10
შიდა კონტროლის სისუსტეები.....	10
ფინანსურ ანგარიშგებაში იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები.....	12
ბიუჯეტის შედგენა-შესრულების მდგომარეობა	13
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები.....	15

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს
ხელმძღვანელობას:**

მინისტრს

ზაურ ფუტყარაძეს

მინისტრის პირველ მოადგილეს

იოსებ ბოლქვაძეს

მინისტრის მოადგილეს

როსტომ შერვაშიძეს

მინისტრის მოადგილეს

სულიკო ბერიძეს

მინისტრის მოადგილეს

ავთანდილ მესხიძეს



აუდიტის ანგარიში

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს სამინისტროს გაწეულ საქმიანობას, ნაერთ ბალანსს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ნაერთ ანგარიშგებებს ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: საკასო ოპერაციები, საბანკო ოპერაციები, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გაწეული საქმიანობის კანონიერებასა და მიზნობრიობაზე, ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.



აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველები

1. სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატმა „თანამედროვე ტიპის ხილის საშრობი დანადგარებით ფერმერთა უზრუნველყოფის“ მიზნობრივი პროგრამის განსახორციელებლად, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ¹ საშუალებით ხელშეკრულება ² გაუფორმა შპს „არმა-კაპიტალს“. ხელშეკრულების შესაბამისად,

¹ SPA120013236

² ხელშეკრულება N51, 30/05/2012 წ. (დირეზულება 30.0 ათასი ლარი).



მიმწოდებელ კომპანიას სს „ვითიბი ბანკი“ საბანკო გარანტიის³ საფუძველზე, წინასწარი ანგარიშსწორების ფორმით ჩაერიცხა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 60%-ის ოდენობის თანხა - 18.0 ათასი ლარი. საქონლის მიღება-ჩაბარების შემდეგ ისე, რომ სამინისტროს სათანადოდ არ შეუმოწმებია მიღებული დანადგარის მოთხოვნილ პირობებთან შესაბამისობა, ბანკს დაუბრუნა საავანსო გადახდის გარანტია. საქონლის მიღებიდან 13 დღის შემდეგ, სამინისტროსათვის ცნობილი გახდა საქონლის ხარვეზის შესახებ. ავანსის სახით გადახდილი თანხა ამ დრომდე არ არის დაბრუნებული.

2. სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატმა „მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის“ მიზნობრივი პროგრამის განსახორციელებლად გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერზე⁴ 378 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკის შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ბაზრის კვალიფიციური შესწავლის გარეშე განსაზღვრა 1 000.0 ათასი ლარით. სატენდერო დოკუმენტაციით, საკვალიფიკაციო პირობად დადგინდა მიმწოდებლისთვის ანალოგიური საქმიანობის (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიწოდების) გამოცდილების არსებობა ბოლო ორი წლის განმავლობაში საერთო ღირებულებით არანაკლებ 700.0 ათასი ლარისა, რაც შესყიდვის ობიექტის გათვალისწინებით ვერ ჩაითვლება შერჩევის ეფექტურ კრიტერიუმად. გამარჯვებული პრეტენდენტი იღებდა მისაწოდებელი საქონლის ნიმუშის წარმოდგენის ვალდებულებას სატენდერო კომისიის მოთხოვნიდან არაუგვიანეს ორი კალენდარული დღისა. საყურადღებოა, რომ სატენდერო პირობა ითვალისწინებდა 60%-იანი წინასწარი ანგარიშსწორების შესაძლებლობას. ზემოაღნიშნულმა შეზღუდვებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირთა წრე. საბოლოოდ, მასში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა. მათგან, უმცირესი ფასის მქონე ორ პრეტენდენტს ტექნიკური დოკუმენტაციის გამო მიეცა დისკვალიფიკაცია. მონაწილესთან⁵ გაფორმებული ხელშეკრულების ფასმა შეადგინა 961.0 ათას ლარი, ხოლო უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტის ფასი შეადგენდა 585.9 ათას ლარს. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვა მაღალი რისკის შემცველია.

3. ვაზის ნერგების წარმოების მიზნით, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრმა“ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ფიზიკური პირის მიხეილ ოთარაშვილისგან 3 750 ლარად შეისყიდა 100 000 ერთეული ვაზის საძირე „რიპარია რუპესტრის 5-ბზ“, ხოლო ფიზიკური პირი ნიაზ შერვაშიძისგან 60 000 ერთეული

³ საავანსო გადახდის გარანტია N BGM0199/120612

⁴ SPA120002640

⁵ შპს „აგროინვესტსერვისი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 205210190)



სამეწარმე კვრით⁶. ამდენად, 100 000 ვაზის საძირესთვის შესყიდული იქნა მხოლოდ 60 000 ერთეული სამეწარმე კვრით. ვაზის საძირეებისა და სამეწარმე კვრითების ფაქტობრივად ერთდროულად შესყიდვის გათვალისწინებით, დაუსაბუთებელია, 1500 ლარის ღირებულების 40 000 ვაზის საძირის შესყიდვის მიზანშეწონილობა. მითუმეტეს, წლის ბოლოს ჩატარებული ინვენტარიზაციით ცნობილი ხდება, რომ გამოუყენებელი 40 000 ვაზის საძირიდან 23 880 ვაზის საძირე გახმა, ამასთან წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი⁷ და თანდართული აქტები გარკვეული რისკის შემცველია.

4. ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ მიერ ვაზის ნერგების წარმოებისთვის შესასრულებელი სამუშაოების შესყიდვის მიზნით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის⁸ საშუალებით გაფორმებულ ხელშეკრულებაში⁹, ფორს-მაჟორული გარემოების საფუძველით განხორციელდა სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელება. კერძოდ, მიწოდების ვადად განსაზღვრული იყო 2012 წლის 16 ივნისამდე პერიოდი. 2012 წლის 15 ივნისის N1 შეთანხმებით მიწოდების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2012 წლის 9 ივლისამდე პერიოდი. ვადის შეცვლას საფუძველად დაედო სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ წერილი¹⁰, რომლის თანახმადაც 2012 წლის 15 მაისიდან 13 ივნისის ჩათვლით 11 დღეს აღინიშნა ნალექი (თუმცა ვადა გაგრძელდა არა 11, არამედ 23 დღით). აღნიშნული ფაქტის განხილვა ფორსმაჟორულ გარემოებად არა არის სათანადოდ დასაბუთებული¹¹. ჩვენი მოსაზრებით, შეთანხმება ვადის გაგრძელების შესახებ საფუძველს მოკლებულია და ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, საჯარიმო სანქციის სახით ბიუჯეტისთვის დამატებით შემოსავლის მიღებისა (3 753.1 ლარი) და სამუშაოთა შესრულების შემაფერხებელ გარემოებად უნდა ჩაითვალოს.

5. ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრმა“ მაცივარი-საყინულეს მიწოდება-მონტაჟით შესყიდვის მიზნით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის¹² საშუალებით ხელშეკრულება¹³ გაუფორმა ინდ. მეწარმე „ნოდარ სიხარულიძეს“. ხელშეკრულების

⁶ ხელშეკრულება N01-24/53, 11/04/2012 წ.

⁷ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ მემცენარეობა-მეცხოველეობის განყოფილების უფროსის მოხსენებითი ბარათი 05.11.2012 წ.

⁸ SPA120012886

⁹ ხელშეკრულება N01-24/89, 16/05/2012 წ.

¹⁰ სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის შავი ზღვის ჰიდრომეტეოროლოგიის სამმართველოს წერილი N25, 13/06/2012 წ.

¹¹ სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის შავი ზღვის ჰიდრომეტეოროლოგიის სამმართველოს წერილის (N16, 14/02/2013 წ.) თანახმად, ქ. ბათუმში 2010 წლის იგივე პერიოდში 14 დღეს აღინიშნა ნალექი, 2011 წლის იგივე პერიოდში - 15 დღეს.

¹² SPA120022447

¹³ ხელშეკრულება N01-24/130, 04/09/2012 წ.



შესაბამისად, საქონლის მიწოდების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 4 ოქტომბრამდე პერიოდი. ცენტრმა მიღება-ჩაბარება მომწოდებელთან გააფორმა 2012 წლის 4 ოქტომბერს, ხოლო მომწოდებლის სასაქონლო ზედნადები თარიღდება 2012 წლის 1 ნოემბრით. შესაბამისად, საქონლის მოწოდება განხორციელდა 2012 წლის 1 ნოემბერს. მიმწოდებლისთვის პირგასამტეხლოს სახით დაკისრებას ექვემდებარება 7897.5 ლარი.

6. სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიამ“ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ¹⁴ საშუალებით, ხელშეკრულება ¹⁵ გააფორმა შპს „ჯეოლაბინსტრუმენტთან“ გაზური ქრომატოგრაფის და pH მეტრის მიწოდების თაობაზე. მიწოდების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 2 თებერვლამდე პერიოდი. გადახდა განხორციელდა 100%-იანი წინასწარი ანგარიშსწორებით. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეებს შორის ორჯერ გაფორმდა ურთიერთშეთანხმების აქტი, რომლებიც დადგენილი წესით არ იქნა ატვირთული სისტემაში¹⁶. ამ შეთანხმებებით, სათანადო ლიცენზიისა და ნებართვის არქონის საფუძველით, მიწოდების ვადა გაგრძელდა პირველ შემთხვევაში 15 მაისამდე, ხოლო მეორე შემთხვევაში - 15 ივლისამდე. მიწოდების ვადის ცვლილების საფუძველი დაუსაბუთებელია, ვინაიდან მიმწოდებლისთვის წინასწარ იყო ან/და უნდა ყოფილიყო ცნობილი გარემოებები, რომლის გამოც შესაძლოა დადგენილ ვადებში ვერ შესრულდებოდა ხელშეკრულების მოთხოვნები. ამასთან, არ განხორციელებულა წინასწარი ანგარიშსწორების საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელება ¹⁷. ჩვენი მოსაზრებით, შეთანხმებები ვადის გაგრძელების შესახებ საფუძველს მოკლებულია და ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, საჯარიმო სანქციის სახით ბიუჯეტისთვის დამატებით შემოსავლის მიღებისა (23 698.3 ლარი) და საქონლის დროული მიწოდების შემაფერხებელ გარემოებად უნდა ჩაითვალოს.

7. სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიამ“ ქიმიური რეაქტივებისა და ბაქტერიოლოგიური ნიადაგების შესყიდვის მიზნით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ¹⁸ საშუალებით, ხელშეკრულება¹⁹ გააფორმა შპს „სამაიასთან“. მიწოდების ვადად განისაზღვრა 2012

¹⁴ SPA110028530

¹⁵ ხელშეკრულება N61, 07/12/2011 წ.

¹⁶ დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი

¹⁷ დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21¹-ე მუხლის 1-ლი პუნქტი

¹⁸ SPA120008475

¹⁹ ხელშეკრულება N45, 05/04/2012 წ.



წლის 31 აგვისტომდე პერიოდი. ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში²⁰ მიმწოდებელმა ვერ შეძლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის სრული მიწოდება, თუმცა არ განხორციელებულა პირგასამტეხლოს დარიცხვა, რომელიც ხელშეკრულების მოქმედების ვადის გათვალისწინებით შეადგენს 1288 ლარს. გარდა ამისა, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა სახის ქიმიური რეაქტივის შესყიდვა, რაც არ ყოფილა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული. აღნიშნული თავისი შინაარსით ახალი შესყიდვაა, რაც უნდა განხორციელებულიყო შესყიდვის იგივე საშუალებით²¹.

8. სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის“ მიერ 2012 წლის 10 ივლისამდე იჯარით იქნა გაცემული 108 კვ. მ არასაცხოვრებელი ფართი²². მოიჯარე დადგენილ ვადებში არ იხდიდა საიჯარო ქირას. ხელშეკრულების²³ შესაბამისად, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საიჯარო ქირის დავალიანება შეადგენს 3900 ლარს, ხოლო ქირის ვადებში გადაუხდელობისათვის პირგასამტეხლოს სახით დასარიცხი თანხა - 1319 ლარი, რაც ლაბორატორიის მიერ არ განხორციელებულა.

პირობითი მოსაზრება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, სამინისტროს გაწეული საქმიანობა და 2012 წლის 31 დეკემბრის ნაერთი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

²⁰ 2012 წლის 01 დეკემბრამდე

²¹ დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტი

²² იჯარის ხელშეკრულება 10/10/2011 წ. (საიჯარო ქირა თვეში 1000 ლარი).

²³ ხელშეკრულების მე-3 მუხლი, მე-8 მუხლის 8.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი



სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოვლენილი არსებითი სისუსტეები შიდა კონტროლის სისუსტეები

სამინისტროში დანერგილი სუსტი შიდა კონტროლის სისტემა განაპირობებს მისი ფუნქციონირების დაბალ ხარისხს, რაც გამოიხატება სხვადასხვა სახის ნაკლოვანებებში. მათ შორის,

1. კონტროლის მექანიზმის განხორციელებისათვის სამინისტროს სისტემაში არ არის დანერგილი და შესაბამისად არ გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.

2. „მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის“ მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, ტექნიკის შეძენის მსურველ ფერმერთა შერჩევის კრიტერიუმები ზოგადია და არ არის პრიორიტეტულობა მითითებული. ფერმერთა მიერ წარმოდგენილი განცხადებით რთულია იმის დადგენა, თუ რამდენად შეესაბამება მათი მონაცემები ამ კრიტერიუმებს. გარდა ამისა, არის შემთხვევები, როცა მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობის მომართვის საფუძველზე პროგრამის ბენეფიციართა სიაში შეყვანილია ცალკეული პიროვნებები, თუმცა უცნობია აკმაყოფილებდნენ თუ არა ეს პირები დადგენილ კრიტერიუმებს.

3. სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატმა კარვების და მისი აქსესუარების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის²⁴ საშუალებით ხელშეკრულება²⁵ გაუფორმა შპს „ციტრო-ჩაი აჭარა 2006“-ს. საქონლის მიწოდების შემდეგ, ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, განხორციელდა მიწოდებული საქონლის ექსპერტიზა, რომლის ცნობითაც²⁶ საქონელი ყველა არსებითი პარამეტრით შესაბამისობაშია მოთხოვნილ პირობებს. ექსპერტის ცნობის თანახმად, კარვის სახურავის საფარი შეადგენს 768 გრ/მ, ხოლო ხელშეკრულებით კარვის სახურავის საფარი უნდა ყოფილიყო 650 გრ/მ. სამინისტროს მიერ დაწუნებული იქნა მიწოდებული საქონელი, თუმცა მიმწოდებლისთვის არ მიუციათ სათანადო ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად და მინისტრის ბრძანებით²⁷ დაუყონებლივ, მიმწოდებლთან კონსულტაციების გარეშე, შეწყვეტილი იქნა ხელშეკრულება. ამჟამად მიმდინარეობს სასამართლო დავა.

4. სამინისტროს ცენტრალური აპარატის და მის დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულებების მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას გამოვლინდა

²⁴ SPA120022419

²⁵ ხელშეკრულება N76, 04/09/2012 წ.

²⁶ ექსპერტის ცნობა N1/441, 24/10/2012 წ.

²⁷ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N128, 26/10/2012 წ.



სხვადასხვა სახის სისტემური და ტექნიკური ხასიათის დარღვევები. კერძოდ, სამინისტროს ცენტრალური აპარატის და მის დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულებების წლიური სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შემუშავებისას არ ხდება ბაზრის გამოკვლევის შედეგების გამოყენება²⁸, აგრეთვე ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ 2012 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა²⁹ არ არის შედგენილი დაფინანსების წყაროს შესაბამისად³⁰, სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული საშუალებებით განხორციელებისას, რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს შემსყიდველის სატენდერო დოკუმენტაციის პირობებსა და პრეტენდენტის ტექნიკურ დოკუმენტაციას შორის განსხვავებებს³¹, თუმცა შემსყიდველს მათი დაზუსტება არ მოუთხოვია³², რიგ ხელშეკრულებებში, ხელშეკრულებით დადგენილი საქონლის/მომსახურების მიწოდების ვადის გაგრძელება სათანადოდ არ არის დასაბუთებული³³, სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის“ ტენდერის შედეგად გაფორმებული ზოგიერთი ხელშეკრულება³⁴, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, სისტემაში არ არის ატვირთული³⁵. ასევე სისტემაში საერთოდ არ არის ატვირთული რამდენიმე ხელშეკრულებაში³⁶ განხორციელებული ცვლილება/დამატება³⁷, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, სისტემაში არ არის ატვირთული³⁸ აგრეთვე სამინისტროს

²⁸ დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი

²⁹ დამტკიცებულია ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ 2012 წლის 04 იანვრის N1 ბრძანებით

³⁰ დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შევსების ინსტრუქციის“ 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი

³¹ SPA120023415, SPA120007970, SPA120007973

³² დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-5, მე-6 პუნქტები

³³ ხელშეკრულება N01-24/103, 18/06/2012 წ., ხელშეკრულება N01-24/89, 16/05/2012 წ.

³⁴ ხელშეკრულება N71, 07/06/2012 წ. (SPA120014297), ხელშეკრულება N78, 02/07/2012 წ. (SPA120017519), ხელშეკრულება N79, 03/07/2012 წ. (SPA120016494), ხელშეკრულება N81, 02/08/2012 წ. (SPA120019788).

³⁵ დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი

³⁶ ხელშეკრულება N61, 07/12/2011 წ. (SPA110028530), ხელშეკრულება N45, 05/04/2012 წ. (SPA120008475),

³⁷ დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი

³⁸ დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი



აპარატის ხელშეკრულებაში³⁹ განხორციელებული ცვლილება/დამატება⁴⁰. ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ მიერ წინასწარი გადახდები⁴¹ განხორციელებულია შესაბამისი გარანტიის გარეშე⁴².

5. ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ მიერ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამასთან გაფორმებული შეთანხმების⁴³ პროგრამის/პროექტის „ვაჭრობის ხელშეწყობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში“ ფარგლებში, გრანტის სახით 2011 წელს მიღებული თანხის ნაშთი 2012 წლის 1 იანვრისთვის შეადგენდა 53 594 ლარს. ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრმა“ აუთვისებული თანხა არ დაუბრუნა გრანტის გამცემს და მისი ხარჯვა განახორციელა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის სათანადო ნებართვის გარეშე, რითაც დარღვეულია „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი და UNDP-სა და ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრს“ შორის 2011 წლის 1 ნოემბერს გაფორმებული შეთანხმების 22-ე პუნქტი.

ფინანსურ ანგარიშგებაში იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები

სამინისტროს ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები სრულყოფილად და სათანადოდ არ ასახავს სამინისტროს დაქვემდებარებული ერთეულების ფინანსურ მდგომარეობას. სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია“ ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ელექტრონული სისტემების (პროგრამის) გამოყენების გარეშე.

დებიტორული/კრედიტორული დავალიანებების მქონე პირებთან არ არის განხორციელებული ურთიერთშედარებები⁴⁴.

დადგენილი წესით, ხელშეკრულება არ არის გაფორმებული მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან, თუმცა სამინისტროს აპარატის ინვენტარიზაციის

³⁹ ხელშეკრულება N76, 04/09/2012 წ. (SPA110022419)

⁴⁰ დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი

⁴¹ ხელშეკრულება N01-24/44, 03/04/2012 წ., ხელშეკრულება N01-24/62, 18/04/2012 წ.

⁴² დარღვეულია სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-19 მუხლის მე-7 პუნქტი

⁴³ შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის“, 08/02/2008 წ.

⁴⁴ დარღვეულია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-13, მე-14 და მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი



მასალებში მითითებულია შესაბამის ქონებაზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირი⁴⁵.

სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის“ 2012 წლის საინვენტარიზაციო კომისიაში ⁴⁶ შეყვანილია მატერიალურად პასუხისმგებელი პირი⁴⁷.

ბიუჯეტის შედგენა-შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით⁴⁸ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სრული დაფინანსება განისაზღვრა 3 175.8 ათასი ლარით. მათ შორის სამინისტროს აპარატის დაფინანსება მიზნობრივი პროგრამების ჩათვლით შეადგენდა - 2 053.8 ათას ლარს, სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის“ – 317.0 ათას ლარს, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ – 805.0 ათას ლარს. წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების ⁴⁹ შედეგად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი დაწესებულებების 2012 წლის ბიუჯეტის წლიური გადასახდელების დაზუსტებული გეგმა გაიზარდა 272.3 ათასი ლარით და შეადგინა 3 448.1 ათასი ლარი. მათ შორის, სამინისტროს აპარატის დაფინანსება მიზნობრივი პროგრამების გარეშე გაიზარდა 62.2 ათასი ლარით. მიზნობრივი პროგრამების ბიუჯეტი შემცირდა 51.0 ათასი ლარით, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ დაფინანსება გაიზარდა 261.1 ათასი ლარით. სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის“ (სსიპ „ტესტირების, სერტიფიკაციის ცენტრის“) დაფინანსების მოცულობა არ შეცვლილა.

სამინისტროს საქმიანობის ამოცანებისა და კომპეტენციის გათვალისწინებით, ეფექტურად ვერ შეფასდება საბიუჯეტო ცვლილებების განხორციელება იქედან გამომდინარე, რომ ზემოაღნიშნული ცვლილებებით შემცირდა სამინისტროს

⁴⁵ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-20 პუნქტი

⁴⁶ სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის“ დირექტორის ბრძანება N01-02/13, 03/12/2012 წ.

⁴⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი

⁴⁸ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ (ვებგვერდი, 111221008, 27/12/2011)

⁴⁹ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილება განხორციელდა ოთხჯერ



მიზნობრივი პროგრამების ბიუჯეტი, ხოლო გაიზრდა შრომის ანაზღაურების მუხლით გასაწევი ხარჯები 128.4 ათასი ლარით, რომელიც ძირითადად გამოყენებული იქნა თანამშრომელთა პრემირებისთვის და არაფინანსური აქტივების ბიუჯეტი - 58.0 ათასი ლარით, სამინისტროსთვის ავტომანქანის შესყიდვის მიზნით.

სამინისტროს ბიუჯეტის საკასო ხარჯმა შეადგინა 3 263.5 ათასი ლარი (დაზუსტებული ბიუჯეტის 94.6 %). მათ შორის, სამინისტროს აპარატის ბიუჯეტი შესრულდა 98.7%-ით, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ - 86%-ით, სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის“ (სსიპ „ტესტირების, სერტიფიკაციის ცენტრის“) - 97%-ით. ბიუჯეტის შესრულების მაღალი პროცენტი განპირობებულია რესპუბლიკურ ბიუჯეტში წლის ბოლოს განხორციელებული ცვლილებებით⁵⁰, რომლითაც მოხდა გეგმის კორექტირება საკასო მონაცემების გათვალისწინებით.

ჰენრი სანიკიძე /აუდიტორი/

გურანდა გვაზავა /აუდიტორ-ასისტენტი/

12 აპრილი 2013 წელი

⁵⁰ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის 27 დეკემბრის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

აქტივები	2011	2012
მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	6144	19 241
მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე	1300	4816
გადახდილი დღგ	0	25779
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1040	0
სხვა საგადასახადო აქტივი	421	2005
მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	741670	269117
ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	0	45
მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	133	1105
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	0	3900
სხვა მატერიალური მარაგები	58671	204401
შენობა-ნაგებობები	865088	1260756
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	701165	9 25511
სხვა ძირითადი აქტივები	6150	6009
არაწარმოებული აქტივები	5629 08	4639 80
ბალანსი	29 44690	3186665

ვალდებულებები და კაპიტალი	2011	2012
მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	50401	4541
ქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	8025	7789
გადასახდელი მოგების გადასახადი	0	289
გადასახდელი დღგ	1333	0
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	268	0
სხვა გადასახდელები	0	100
შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	636	636
ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	0	7
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	25	453
წმინდა ღირებულება	2867116	3135494
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	0	37356
გაუნაწილებელი მოგება	16886	0
ბალანსი	29 44690	3186665

პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	29 67	35211
ამორტიზირებული ძირითადი აქტივები	75618	62686
ვადგადაცდილებული დავალიანებები	327	0
ექსპლოატაციაში მყოფი ჩამოწერილი გრძელვადიანი მც. აქტივები	127601	198092

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	კალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
ხარჯები	1786609	1746174	1660928	1658793	1658793	1574333	-84460
შრომის ანაზღაურება	79 7300	79 7300	79 7300	79 7300	79 7300	79 7300	0
ხელფასები	79 7300	79 7300	79 7300	79 7300	79 7300	79 7300	0
ხელფასები ფულადი ფორმით	79 7300	79 7300	79 7300	79 7300	79 7300	79 7300	0
თანამდებობრივი სარგო	—	—	482219	482219	482219	482219	0
პრემია	—	—	315081	315081	315081	315081	0
საქონელი და მომსახურება	213109	212924	188494	118849 4	188494	175398	-13096
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	16600	16600	16572	16572	16572	16572	0
მივლინებები	26000	26000	25035	25035	25035	23968	-1067
ოფისის ხარჯები	78909	78724	60140	60140	60140	48661	-11479
წარმომადგენლობითი ხარჯები	13000	13000	10894	10894	10894	10894	0
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	50000	50000	49374	49374	49374	48824	-550
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	28600	28600	26479	26479	26479	26479	0
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	—	—	—	—	—	176293	176293
სუბსიდიები	763200	722950	663732	661597	661597	590233	-71364
სოციალური უზრუნველყოფა	5000	5000	4829	4829	4829	4829	0
დამქ. მიერ გაწეული სოციალური დახმარება	5000	5000	4829	4829	4829	4829	0
ფულადი ფორმით	5000	5000	4829	4829	4829	4829	0

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	კალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
სხვა ხარჯები	8000	8000	6573	6573	6573	6573	0
სხვადასხვა ხარჯები	8000	8000	6573	6573	6573	6573	0
მიმდინარე	8000	8000	6573	6573	6573	6573	0

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გვერდით	დაზუსტებული გვერდით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1. არაფინანსური აქტივები	1655900	1655900	1558709	1558709	1558709
1.1 ძირითადი აქტივები	1608378	1608378	1511187	1511187	1511187
1.1.1 შენობა-ნაგებობები	275934	275934	178865	178865	178865
1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები					
1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	160810	160810	63741	63741	63741
1.1.1.3 სხვა ნაგებობები	115124	115124	115124	115124	115124
1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	1332444	1332444	1332322	1332322	1332322
1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	1142500	1142500	1142500	1142500	1142500
1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	189944	189944	189822	189822	189822
1.2 მატერიალური მარაგები	38440	38440	38440	38440	38440
1.2.1 სტრატეგიული მარაგები					
1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	38440	38440	38440	38440	38440
1.2.2.1 ნედლეული და მასალები	38440	38440	38440	38440	38440
1.4 არაწარმოებული აქტივები	9082	9082	9082	9082	9082
1.4.1 მიწა	9082	9082	9082	9082	9082

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ღებუტი	თანხა	კრედიტი	თანხა
ნაშთი წლის დასაწყისისათვის	0	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	2867085
მომუშავეთა ანაზღაურება	797300	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	3263437
საქონელი და მომსახურება	176426	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა	0
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	176295	და ღირებულების გასაცემად	0
მ. შ. ფიზიკური ცვეთა	175314	შემოსავლები	0
პროცენტი	0	მ. შ. გადასახადები	0
სუბსიდიები	590233	სოციალური შენატანები	0
გრანტები	0	გრანტები	0
სოციალური უზრუნველყოფა	4829	სხვა შემოსავლები	0
სხვა ხარჯები	6573	ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	0
აქტივების უსასყიდლოდ გაცემა	0	აქტივების უსასყიდლოდ მიღება	0
ფინანსური აქტივები	0	0	0
არაფინანსური აქტივები	1243372	მატერიალური მარაგების	0
საღებეტო ბრუნვა	2995028	საკრედიტო ბრუნვა	3263437
სულ ჯამი**	2995028	სულ ჯამი***	6130522
ნაშთი პერიოდის ბოლოს	0	ნაშთი პერიოდის ბოლოს	3135494

ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

შემოსავლები	სულ		
	გეგმით	საკასო	ფაქტობრივი
2	3	4	5
ნაშთი წლის დასაწყისისათვის		6144	16886
საანგარიშო პერიოდის სხვა შემოსავლები	83415	84106	80427
გრანტები			
სხვა შემოსავლები	83415	84106	80427
ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	77415	81706	75507
ე) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	6000	2400	4920
სულ:	83415	84106	80427
1. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	65420	64392	59824
1.1. შრომის ანაზღაურება	45000	44996	44996
1.2. საქონელი და მომსახურება	20250	19227	9318
1.3. ძირითადი კაპიტალის მოხმარება			1044
1.8. სხვა ხარჯები	170	169	4466
2. არაფინანსური აქტივები	4000	2200	
2.1 ძირითადი აქტივები	4000	2200	
ბიუჯეტში გადახდილი თანხები	10580	4284	
ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს		19374	37489

ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ

	უცხოურ ვალუტაში	ეროვნულ ვალუტაში	სულ თანხა ლარებში		
			გეგმიურ ი	საკას ო	ფაქტიურ ი
გრანტის მთლიანი მოცულობა		110784	110784	110784	55245
მ.შ მიღებული თანხა		110784	110784	110784	55245
მ.შ სულ დამტკიცებული მოცულობა					
მ.შ უკანასკნელი ჩარიცხვა					
1	ნაშთი პერიოდის დასაწყისში		53594	53594	
2	მიმდინარე წლის მოცულობა		94190	94190	55245
3	სულ (1+2)				
4	ხარჯები				
5	შრომის ანაზღაურება		53390	54011	54011
6	საქონელი და მომსახურება		5000	5152	
7	პროცენტი				
8	სუბსიდიები				
9	გრანტები				
10	სოციალური უზრუნველყოფა				
11	სხვა ხარჯები		2000	1234	1234
12	არაფინანსური აქტივების ზრდა		33800	33793	
13	ფინანსური აქტივების ზრდა				
14	ვალდებულებების კლება				
15	სულ მიმდინარე წლის დამტკიცებული მოცულობა				

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	შესყიდვით	იმგვე ღონის სახ. ერთეულს. სასყი.	გრანტებით	სხვა შემოსავლებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	საკუთარი სახსრებით	დანაკლისის არღვევით	გაყიდვით	ბარტყვით	იმგვე ღონის სახ. ერთეულს. სასყი.	ხელფასები სასაქონლო თიომით	სუბსიდიებით	გრანტებით	სოციალური დახმარებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურებით	ნაშთი წლის (პერიოდის) ბოლოს
1. მატერიალური მარაგები	58640	198537	0	0	0	86654	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	139430	204401
1.1. სტატეგიული მარაგები																			0
1.2. სხვა მატერიალური მარაგები	58640	198537	0	0	0	86654	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	139430	204401
1.2.1. ნედლეული და მასალები	31851	15287																6402	40736
1.2.2. დაუმთავრებელი წარმოება		38440				86654													125094
1.2.3. შზა პროდუქცია																			0
1.2.4. შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი																			0
1.2.5. ფულადი დოკუმენტები	8072	64806																65707	7171
1.2.6. სათადარიგო ნაწილები		11749																11749	0
1.2.7. სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	18717	68255																55572	31400
2. ძირითადი აქტივები	1572403	1673393	23837	117043	0	52240	207110	0	0	0	1243372	0	0	0	0	33039	177339	0	2192276
2.1. შენობა ნაგებობები	865088	154365	0	0	0	52240	207110	0	0	0	0	0	0	0	0	0	18047	0	1260756

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

2.1.1. საცხოვრებელი შენობები	0																				
2.1.2. არასაცხოვრებელი შენობები	865088	63741	52240 177110														13660	1144519			
2.1.8 გაყვანილობის სისტემები		84124	30000														4257	109867			
2.1.9 სხვა ნაგებობები		6500															130	6370			
2.2 მანქანა - დანადგარები და ინვენტარი	701165	1518188	23837	117043	0	0	0	0	0	0	1243372	0	0	0	0	33039	158311	0	925511		
2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	237893	1077300	23837											984838					48211	305981	
2.2.2 სხვა მანქანა -დანადგარები და ინვენტარი	463272	440888	117043										258534					33039	110100	619530	
2.3 სხვა ძირითადი აქტივები	6150	840	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	981	0	6009		
2.3.1 კულტივირებული აქტივები	0																				
2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	6150	840															981	6009			
5. არამწარმოებული აქტივები	562908	9082	7246	0	0	0	23638	0	0	0	0	0	0	0	0	138894	0	0	463980		
5.1 მიწა	508974	7246														52240	463980				
5.2 წიაღისეული	0																				
5.3 სხვა ბუნებრივი აქტივები	53934	9082	23638														86654	0			
5.4 არამწარმოებული არამატერიალური აქტივები.	0																				

ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში(რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში მიღება		საანგარიშო პერიოდში გასვლა		საანგარიშო პერიოდში გაწეული ზარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ზარჯი (ფაქტიური)			
							სულ ზარჯი	მ.შ.შეკეთება	მ.შ.საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები	სულ ზარჯი	მ.შ.შეკეთება	მ.შ.საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები
მუშა მდგომარეობაში	მუშა	არა მუშა მდგომარეობაში	რაოდენობა	რაოდენობა	რაოდენობა	რაოდენობა								
სატრანსპორტო საშუალება სულ:	10	0	3	1	0	0	96425	7178	76598	12649	94404	7178	74577	12649
მ.შ. მსუბუქი	4		1				39015	3285	32216	3514	37544	3285	30745	3514
ჯიბები და პიკაპები	6		2	1			57410	3893	44382	9135	56860	3893	43832	9135
სატვირთო	0													
მანქანა დანადგარები, ინვენტარი და საოფისე ტექნიკა სულ:	286				6									
მობილური ტელეფონები	13													
ტელევიზორები	20				2									
კომპიუტერები	56				9									

